შრომითი ხელშეკრულება

თბილისი 1 სექტემბერი, 2009

ჩვენ, მხარეები, ერთის მხრივ შპს საოჯახო მედიცინი ეროვნული სასწავლო ცენტრი, შემდგომში „დამსაქმებელი", მისი გენერალური დირექტორის … სახით და მეორეს მხრივ, ოჯახის ექიმი ... პირადი ნომერი სახით, შემდგომში „დასაქმებული"-ს სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დასაქმებული" ვალდებულია გაუწიოს პაციენტს მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო მომსახურება, ხოლო „დამსაქმებელი" ვალდებულია გაწეული მომსახურებისათვის/შესრულებული სამუშაოსათვის/„დასაქმებულს" გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.

2. პირველადი ჯანდაცვის სერვისი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირებული პირველადი ჯანდაცვის სერვისი, შემდგომში „სერვისი" მოიცავს სერვისებს ჯანმრთელობის დამკვიდრებისათვის პაციენტთა განათლებასა და საჭირო ინფორმაციის გავრცელებას, პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკას და დაავადებათა მკურნალობას;

2.2 უფასო სერვისები და სერვისები თანაგადახდის პრინციპით განსაზღვრულია სახელმწიფო/სადაზღვევო პროგრამით და გათვლილია მიმდინარე წელზე/პირველადი ჯანდაცვის პაკეტი/;

2.3 თანხა მომსახურებისათვის და თანაგადახდა პაციენტმა უნდა განახორციელოს „დამსაქმებლის" მიერ დადგენილი ფასების მიხედვით;

2.4 „დასაქმებულს" ეკრძალება განახორციელოს სხვა კერძო და დამატებითი საქმიანობა „დამსაქმებელთან" შეთანხმების გარეშე და ეკრძალება გამოიყენოს თავისი პირადი საქმიანობისათვის „დამსაქმებლის" ტექნიკა, სამედიცინო პრეპარატები და სხვა აღჭურვილობა.

2.5 „დასაქმებული" ვალდებულია:

- შეაგროვოს ყველა მონაცემები და აწარმოოს დეტალური აღრიცხვა „დამსაქმებლის" მიერ დაწესებული შიდა რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
- მოახდინოს „კარიბჭის" ფუნქციის უზრუნველყოფა;
- ფლობდეს თანამედროვე ცოდნასა და უნარ-ჩვევებს და მუდმივად აიმაღლოს იგი; უზრუნველყოს რეგულარული თვითშეფასება და უწყვეტი პროფესიული განვითარება და მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზაცია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში;
- გამოიყენოს უახლესი სამედიცინო აღჭურვილობა, ტექნოლოგიები, მედიკამენტები, სადეზინფექციო საშუალებები და სხვა;
- შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები დროულად, კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულ დონეზე;
- დაკისრებული სამუშაოს განხორციელებისას, ფლობდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო სერტიფიკატსა თუ ლიცენზიას.

3. ხელშეკრულების ფასი და ანაზღაურების პირობები

3.1 „დამსაქმებელი" ვალდებულია „დასაქმებულს" შესრულებული სამუშაოსათვის აუნაზღაუროს თანხა ყოველთვიურად;

3.2 ხელფასი განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად;

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი მოიცავს ხელფასის გამოთვლის პრინციპებს;

3.4 „დამსაქმებელი" ვალდებულია „დასაქმებულს" აუნაზღაურის ხელფასი თვის დასრულების შემდეგ, არა უგვიანეს 2 თვისა;

3.5 ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს „დასაქმებულის" ანგარიშზე ან ნაღდი ანგარიშსწორებით

4. დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები

„დამსაქმებელი" ვალდებულია:

4.1 „დასაქმებულს" გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

„დამსაქმებელი"

„დასაქმებული"

4.2 „დასაქმებულს" გადასცეს ყველა ის საჭირო ინფორმაცია, ტექნიკა და დოკუმენტაცია, რაც საჭიროა ვალდებულების შესასრულებლად;

4.3 „დასაქმებულს" გააცნოს შიდა რეგულაციები;

4.4 გააცნოს ინფორმაცია:

- პაციენტთა რეგისტრაციის შესახებ;
- დიაგნოსტიკური ინსტიტუტებისა და სპეციალიზირებული მომსახურების მიმწოდებლების შესახებ;
- მონაცემთა მოგროვების, შენახვისა და ანგარიშგების შესახებ.

4.5 ტერიტორიულ-ადმინისტრაციული უბნების მიხედვით მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალური მარკეტინგის აქტივობების ხელშეწყობა შემდეგი ინფორმაციის გავრცელების მიზნით:

- „დასაქმებულები" და მათი საქმიანობის ადგილი;
- არსებული სერვისები და მიწოდების პროცედურები;
- პაციენტის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ინფორმაცია;

4.6 საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს „დასაქმებული" დამატებითი პერსონალით/ექთანი და სხვა/;

4.7 პერიოდულად გააკონტროლოს „დასაქმებულის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.8 უზრუნველყოს პაციენტთა სიის შედგენა და რეგისტრაცია დადგენილი პროცედურების მიხედვით;

4.9 უზრუნველყოს გამოკვლევების მიმართულებები და მეორადი მზრუნველობა „დასაქმებულის" მიერ;

4.10 აწარმოოს ყოველთვიური მონიტორინგი პაციენტთა რაოდენობაზე და ყველა იმ საქმიანობაზე, რაც დაკისრებული აქვს მას წინამდებარე ხელშეკრულებით.

„დამსაქმებლის" უფლებები

4.11 რეგულარულად აკონტროლოს „დასაქმებულის" მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება;

4.12 იზრუნოს პირველადი ჯანდაცვის სერვისის ხარისხზე და მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესრულებაზე;

4.13 დაიცვას წინამდებარე კონტრაქტის პირობები;

4.14 იმ შემთხვევაში თუ „დასაქმებულის" მიერ ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა, ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ჩანაწერები და სამედიცინო დოკუმენტაცია;

4.15 „დასაქმებულს" შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები.

5. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

„დასაქმებული" ვალდებულია:

5.1 აწარმოოს ხელმისაწვდომი სერვისები პაციენტთა სიაში აღნიშნული პაციენტებისათვის მაღალი ხარისხითა და დანერგილი მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით;

5.2 კანონმდებლობის შესაბამისად პაციენტისათვის გასცეს სამედიცინო ინსტრუქციები, ბიულეტენები და სხვა სამედიცინო დოკუმენტაცია;

5.3 იმუშაოს დღეში საშუალოდ 8 საათი, კვირაში 41 საათი. პაციენტთა მიღებას დაუთმოს დღეში არანაკლებ 5 /ხუთი/ საათისა.

5.4 კვირაში მინიმუმ 1 (ერთი) დღე პაციენტთა მიღება აწარმოოს 20.00 საათამდე; შაბათი განსაზღვრულია, როგორც სამუშაო დღე, მორიგეობის მიზნით და/ან „დამსაქმებლის" გადაწყვეტილებით.

5.5 იმ შემთხვევაში თუ პაციენტი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში, და/ან აქვს მწვავე დაავადება, დასაქმებული ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ასეთ პაციენტს მომართვის დღესვე;

5.6 „დამსაქმებელთან" შეთანხმებით „დასაქმებულს" შეუძლია შეცვალოს სამუშაო/პაციენტთა მიღების გრაფიკი;

5.7 დაგეგმოს, ორგანიზება და ზედამხედველობა გაუწიოს ოჯახის ექიმის გუნდის - სხვა ექიმების, ექთნების და სხვა დამხმარე პერსონალის მუშაობას;

5.8 თუ პაციენტი აღრიცხულია „დამსაქმებლის" პაციენტთა სიაში და საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, „დასაქმებული" ვალდებულია გაუწიოს სამედიცინო მომსახურება ასეთ პაციენტს ჩაწერის გარეშე და არასამუშაო საათებში, თუ საჭიროა, ასევე, უზრუნველყოს გადაყვანა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში;

5.9 ყოველი პაციენტი აღრიცხოს „დამსაქმებლის" მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ დოკუმენტაციაში;
5.10 აცნობოს „დამსაქმებელს" ყოველი ახალი პაციენტის დარეგისტრირების შესახებ;
5.11 დაიცვას პაციენტის უფლებები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა;
5.12 მინიმუმ 5 წლის განმავლობაში შეინახოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია;
5.13 იმ შემთხვევაში, თუ მისი ცოდნა და კვალიფიკაცია არასაკმარისია, „დასაქმებული" ვალდებულია პაციენტი გადაამისამართოს სხვა ექიმთან და/ან სხვა სამედიცინო დაწესებულებაში „დამსაქმებელთან" შეთანხმებით.
5.14 ყოველდღიურად აწარმოოს „დამსაქმებლის" მიერ დამტკიცებული აღრიცხვა.

„დასაქმებულის" უფლებები

5.15 დააწესოს პაციენტთა მიღების გრაფიკი;
5.16 მონაწილეობა მიიღოს მისთვის საჭირო ტრეინინგებში და მუდმივად აიმაღლოს კვალიფიკაცია საოჯახო მედიცინასა და მენეჯმენტის დარგში;
5.17 „დამსაქმებელთან" დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები/შენიშვნები და სხვა ექიმების/ექთნებისა და სხვა დამხმარე პერსონალის შესახებ;
5.18 მიიღოს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

6. კონფიდენციალურობის პრინციპები

6.1 „დასაქმებული" ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპები და არ გაამჟღავნოს პაციენტთან დაკავშირებული ინფორმაცია მასთან /ან მის მეურვესთან, მზრუნველთან/ შეთანხმების გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობები

7.1 იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი უარს განაცხადებს სამედიცინო მომსახურების მიღებაზე „დასაქმებული" ვალდებულია „დამსაქმებელს" აცნობოს ამის შესახებ არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში;
7.2 „დასაქმებული" ვალდებულია აუნაზღაუროს პაციენტს მისი ბრალით მიყენებული ზიანი, თუ დამტკიცდება, რომ ეს ზიანი დადგა მისი ბრალეული ქმედების გამო;
7.3 „დასაქმებული" პასუხს არ აგებს პაციენტის წინაშე თუ ამ უკანასკნელმა არ გაითვალისწინა „დასაქმებულის" მიერ შემუშავებული დანიშნულება და მკურნალობის რეკომენდაციები, რაზეც პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული წინასწარ;
7.4 იმ შემთხვევაში თუ „დამსაქმებელი" არ აუნაზღაურებს „დასაქმებულს" შესრულებული სამუშაოსათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, „დასაქმებულს" შეუძლია მიმართოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

8. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება, მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად;
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ან პუნქტი იქნება გაუქმებული, ეს არ გამოიწვევს ხელშეკრულების სხვა მუხლების /პუნქტების/ გაუქმებას;
8.3 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების სასარგებლოდ შესაძლებელია შეიცვალოს მისი რომელიმე მუხლი და ან პუნქტი;
8.4 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს იურიდიული მისამართის და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ;
8.5 წინამდებარე ხელშეკრულება იდება 2 /ორი/ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 გადაეცემა „დამსაქმებელს", ხოლო 1 „დასაქმებულს";
8.6 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი, სადაც განსაზღვრულია ხელფასი და მისი გამოთვლის პრინციპები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

„დამსაქმებელი"

„დასაქმებული"

9.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი შეადგენს 2 თვეს;

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს;

9.3 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ან შეჩერდეს:

ა) ფორს-მაჟორულ გარემოებათა მოქმედების შემთხვევაში;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ;

ც) მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

დ) კლინიკის შრომის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში;

9.4 „დასაქმებულის" ინიციატივით, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია წერილობით, 2 კვირით ადრე აცნობოს „დამსაქმებელს";

9.5 თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, არცერთმა მხარემ არ გამოთქვა სურვილი ხელშეკრულების შეწყვეტისა, იგი ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იგივე ვადით;

9.6 მოცემული ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებებისაგან.

9.7 მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა: ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით;

9.8 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამსაქმებელი"	„დასაქმებული"
შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის" დირექტორი:	ოჯახის ექიმი: